| | |
|---|---|
| **დამსაქმებელი** | სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია |
| **თანამდებობა** | **ხელმძღვანელი** |
| **სტრუქტურული ერთეული** | ა) გალაქტიკებისა და ვარსკვლავების განყოფილება;<br><br>ბ) მზისა და მზის სისტემის განყოფილება;<br><br>გ) თეორიული ასტროფიზიკისა და კოსმოლოგიის განყოფილება. |
| **სამუშაო ადგილი** | ქ. თბილისი, მ. კოსტავას 47/57, მე-5 სართული და ადიგენის მუნიციპალიტეტი, დაბა აბასთუმანი, მთა ყანობილი. შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვრება დასაქმებულის ძირითადი სამუშაო ადგილი. |
| **შრომითი ურთიერთობის ვადა** | შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე ყოფნის ვადით, მაგრამ არაუმეტეს **2026 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით. |
| **ანგარიშვალდებულება/ დაქვემდებარება** | დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს წინაშე |
| **დაქვემდებარებული თანამდებობა** | განისაზღვრება ობსერვატორიის საშტატო განრიგით, რომელიც აერთიანებს შემდეგ თანამდებობებს:<br>ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;<br>ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;<br>გ) მეცნიერი თანამშრომელი;<br>დ) ასისტენტ-მკვლევარი;<br>ე) ლაბორანტი;<br>ვ) სამეცნიერო ემერიტუსი. |
| **ყოველთვიური შრომის ანაზღაურება** | 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი. |
| **თანამდებობაზე გამწესების წესი** | სამეცნიერო საბჭოს მიერ კონკურსის წესით არჩეულ პირს, შესაბამის თანამდებობაზე, პირადი განცხადების საფუძველზე, ბრძანებით ამტკიცებს ობსერვატორიის დირექტორი და მასთან დებს შრომით ხელშეკრულებას. |

| | |
|---|---|
| **თანამდებობრივი მოვალეობები** | 1.1.განყოფილების საქმიანობის ხელმძღვანელობა - წარმართვა, განყოფილების თანამშრომლებს შორის მოვალეობების განაწილება, მათზე დავალებებისა და მითითებების გაცემა, მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების (შრომის ხელშეკრულების) შესრულების კონტროლი, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინადადებების დასმა, შრომითი ურთიერთობის დამყარების, შეწყვეტის ან შეჩერების საკითხზე პოზიციის დაფიქსირება;<br>1.2. განყოფილების წარმომადგენლობა ობსერვატორიის ადმინისტრაციის და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთობაში, ხოლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ობსერვატორიის დირექტორთან შეთანხმებით – ობსერვატორიის წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობისას;<br>1.3. განყოფილების საქმიანობის სამუშაო გეგმების შემუშავება, დირექტორთან შეთანხმება და სამეცნიერო საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;<br>1.4. ობსერვატორიის დირექტორისთვის წინადადებების წარდგენა განყოფილების საქმიანობის ფარგლებში საჭირო ფინანსური სახსრების თაობაზე, მონიტორინგის გაწევა ობსერვატორიის ბიუჯეტში განყოფილებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვაზე;<br>1.5. განყოფილების საქმიანობის ანგარიშების მომზადება;<br>1.6. განყოფილების დებულების პროექტის შესათანხმებელად წარდგენა ობსერვატორიის დირექტორისთვის;<br>1.7. განყოფილების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე ზრუნვა;<br>1.8. განყოფილების თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და სამეცნიერო უნარ-ჩვევების ამაღლებაზე ზრუნვა;<br>1.9. განყოფილების მიერ დაგეგმილი ღონისძიების ორგანიზება;<br>1.10. განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავების ორგანიზება;<br>1.11. განყოფილების თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების, სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი პირობების განსაზღვრაში მონაწილეობა;<br>1.12. ზედამხედველობა განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე;<br>1.13. განყოფილების სახელით მომზადებული დოკუმენტების ხელმოწერა/ვიზირება;<br>1.14. საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება. |